დანართი №2

2010-2011 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სტუდენტის ნაშრომების ნახვისა და აპელაციის ვადები

1. სტუდენტი, რომელსაც სურს ნაშრომის ნახვა ან/და არ ეთანხმება სემესტრულ დასკვნით/დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას, უფლებამოსილია შედეგის ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 2 დღის განმავლობაში მიმართოს საგამოცდო ცენტრს განცხადებით/საჩივრით და მოითხოვოს ნაშრომის ნახვა ან/და შედეგების გადასინჯვა.

2. საგამოცდო ცენტრი უზრუნველყოფს:

   ა) სტუდენტისათვის თავისი ნაშრომის ჩვენებას განცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან 3 დღის ვადაში.

   ბ) ფაკულტეტისათვის (უფლებამოსილ თანამშრომელთან) იმ სტუდენტების ნაშრომების გადაგზავნას, რომლებზეც შემოსულია განცხადება/საჩივარი.

3. ფაკულტეტი უზრუნველყოფს სტუდენტის გასაჩივრებული საგამოცდო ნაშრომების შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალისათვის განსახილველად გადაცემას საჩივარის შემოსვლიდან ორი დღის ვადაში.

4. შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალი 2 დღის ვადაში უზრუნველყოფს აპელაციის დასკვნის მიწოდებას ფაკულტეტისათვის (უფლებამოსილი თანამშრომელისათვის).

5. ამ დანართით განსაზღვრული პროცედურების დასრულების შემდეგ სტუდენტების ნაშრომები უბრუნდება საგამოცდო ცენტრს.